საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს:

- კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 1,105 ათასი ლარის ოდენობით.

17. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

17. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

17. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-6
ოფისის აღჭურვილობა	5-6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	5-6

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც კომპანია საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარიცხებს, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მისადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

17. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასის შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

17. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო ხარჯის/შემოსავლის აღიარება

საპროცენტო ხარჯი/შემოსავალი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ფინანსური ხარჯი/შემოსავალი მოიცავს მიღებულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს/შემოსავალს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
 - წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
 - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს GEO 2008

2024 წელი

შინაარსი

1.	საქმიანობის ძირითადი მიმოხილვა	23
2.	ინფორმაცია კომპანიის სტრუქტურასთან დაკავშირებით	23
3.	განვითარების გეგმები.....	23
4.	ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	23
5.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	23
6.	სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	23
7.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური საკითხები.....	24
8.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	27

1. საქმიანობის ძირითადი მიმოხილვა

შპს GEO 2008 (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის გენერალური დირექტორია ტარიელ ხარატიშვილი. კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 5 სექტემბერს. კომპანიის დამფუძნებლები არიან ტარიელ ხარატიშვილი (50% წილის მფლობელი) და მამუკა დევდარიანი (50% წილის მფლობელი).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მსხვილი სუპერმარკეტის ფუნქციონირება, რომელიც მდებარეობს მისამართზე საქართველო, ხაშური, იმერეთის ქ., №22. კომპანია ყიდის საკვებ, სასმელ და სხვა საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციას, ასევე სათამაშოებს და საოჯახო ტექნიკას. იგი წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას ახალი და უსაფრთხო პროდუქციის მისაღებ ფასად შეთავაზების გზით.

2. ინფორმაცია კომპანიის სტრუქტურასთან დაკავშირებით

კომპანიის მართვის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისგან. სტრუქტურული ქვედანაყოფი ექვემდებარება კომპანიის დირექტორს.

ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ყალიბდება შესაბამისი პროცედურული დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრება ქვედანაყოფის და მასში შემავალი პირების უფლება-მოვალეობები და მათი საქმიანობის ინსტრუქცია.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება განსაზღვრულია წესდებით.

3. განვითარების გეგმები

კომპანიას აქვს განვითარების სტრატეგიული გეგმა. გეგმის ნაწილი გულისხმობს გაყიდვების სტაბილურ ზრდას, ზრდის მიღწევა მოხდება პროდუქციის რაოდენობის გაზრდით. კომპანია ცდილობს სისტემატურად იკონტაქტოს საქონლის მომწოდებლებთან.

განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით კომპანია აქცენტს აკეთებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კომპანია აგრძელებს მხოლოდ სერტიფიცირებული და ხარისხის შესაბამისი პროდუქტის შეთავაზებას მომხმარებლებისთვის.

მყარი ფინანსური რესურსების არსებობა რა თქმა უნდა არის ის კომპონენტი, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას შეასრულოს მასზე დაკისრებული ფინანსური ვალდებულება როგორც მომწოდებელ კომპანიებთან ასევე სხვა მესამე პირებთან. ყოველთვიურად და ყოველწლიურად სტრატეგიულ მომწოდებელ კომპანიებთან ერთად ხდება სტრატეგიული გეგმების შედგენა და შემდგომში ამ გეგმების შესრულება/ანალიზი.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები. შესაბამისად, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანია არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური კომპანიისთვის.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური საკითხები

კოეფიციენტების ანალიზი

შემოსავლიანობის კოეფიციენტები

შემოსავლიანობის კოეფიციენტები არის კომპანიის ფინანსური აქტივობის შემფასებელი, თუ რამდენად ეფექტური იყო მისი საოპერაციო საქმიანობა, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტები მით უკეთესია კომპანიისთვის.

საერთო მოგების მარჟა - (საერთო მოგება / შემოსავალი)

საერთო მოგების კოეფიციენტი არის კომპანიის ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენია კომპანიის მარჟა. მაღალი ინდექსი მაჩვენებელია კომპანიის კარგი საფასო პოლიტიკის. თუმცა ის კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე სრულ ინფორმაციას ვერ გვაწვდის.

	2024	2023
შემოსავალი	46,325	43,845
თვითღირებულება	(40,140)	(38,616)
საერთო მოგება	6,185	5,229
GPM	13%	12%

2024 წელს კომპანიის შემოსავლები 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 5,66%-ით, რაც გამოწვეულია რაოდენობრივი გაყიდვების და ფასების ზრდით.

საოპერაციო მოგების მარჟა - (საოპ. მოგება / შემოსავალი)

2023 წელთან შედარებით 2024 წელს საოპერაციო მოგების მარჟა გაზრდილია.

	2024	2023
შემოსავალი	46,325	43,845
საოპერაციო მოგება	3,643	2,842
OPM	8%	6%

წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/შემოსავალი)

წმინდა მოგების კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ გაყიდვებიდან რამდენი დარჩა კომპანიას მოგება. მაღალი ინდიკატორი გვიჩვენებს რომ კომპანია არის მომგებიანი და მფლობელებიც დიდ მოგებას გამოიმუშავენ.

	2024	2023
შემოსავალი	46,325	43,845
წმინდა მოგება	3,720	2,956
NPM	8%	7%

2024 წელს წმინდა მოგების მარჟა მცირედით გაზრდილია.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური საკითხები (გაგრძელება)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

ლიკვიდურობის კოეფიციენტები აფასებენ კომპანიის შესაძლებლობას თუ როგორ შეუძლია გაუმკლავდეს მოკლევადიან ვალდებულებებს. ანუ რამდენად სწრაფად შეუძლია თავისი მიმდინარე აქტივები გადააქციოს ფულად თავისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო უკეთესია კომპანიისთვის, რადგან ეს მეტყველებს იმაზე რომ კომპანიას შეუძლია დროულად დაფაროს კრედიტორების მიმართ დავალიანებები.

	2024	2023
მიმდინარე აქტივები	8,142	8,407
მიმდინარე ვალდებულებები	1,972	2,289
მიმდინარე კოეფიციენტი	4.13	3.67
მიმდინარე აქტივები	8,142	8,407
მიმდინარე ვალდებულებები	1,972	2,289
მარაგები	5,600	4,300
სწრაფი კოეფიციენტი	1.29	1.79

Current Ratio - მიმდინარე კოეფიციენტი - (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები)

როგორც ცხრილიდან ჩანს მიმდინარე კოეფიციენტი გაუმჯობესებულია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რაც მეტწილად განპირობებულია მარაგების ზრდით.

Quick Ratio-სწრაფი კოეფიციენტი - (მიმდ.აქტივები-საქონელი)/მიმდ.ვალდებულებები

სწრაფი კოეფიციენტი შემცირებულია 2023 წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია მიმდინარე აქტივების შემცირებით.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი

(შემოსავალი/(მარაგები+დებ.დავალ-სავაჭრო ვალდებულება))

	2024	2023
შემოსავალი	46,325	43,845
მარაგები	5,600	4,300
დებიტორული დავალიანება	639	1,350
სავაჭრო დავალიანება	1,755	1,712
WCT	10.33	11.13

ცხრილიდან ჩანს რომ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი მაღალია, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია გაყიდვებიდან გამოიმუშავებს იმაზე მეტ ფულს, ვიდრე მას სჭირდება ამ გაყიდვების დასაფინანსებლად.

ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვადობა დღეებში (მარაგები/თვითღირებულება*365)

ეს არის ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს საშუალოდ რამდენი დღე ჩერდება მარაგები კომპანიაში გაყიდვამდე. 2024 წელს DIO მცირედით გაუარესებულია. 2023 წლის მონაცემებით მარაგები კომპანიის საწყობში საშუალოდ 41 დღე ჩერდებოდა, ხოლო 2024 წელს იგივე მონაცემი შეადგენს 51-ს.

	2024	2023
თვითღირებულება	40,140	38,616
მარაგები	5,600	4,300
DIO	51	41

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური საკითხები (გაგრძელება)

მოთხოვნების ბრუნვა დღეებში (სავაჭრო მოთხოვნები/გაყიდვები*365)

ეს არის მაჩვენებელი იმისა, თუ საშუალოდ რა ვადაში ხდება დებიტორული დავალიანების ამოღება.

	2024	2023
მოთხოვნები	639	1,350
შემოსავალი	46,325	43,845
DSO	5	11

DSO არის მაჩვენებელი საშუალოდ რამდენი დღე სჭირდება კომპანიას შემოსავლების შესაგროვებლად გაყიდვების შემდეგ. ანუ გვიჩვენებს რამდენად ეფექტურად აგროვებს კომპანია გაყიდვებიდან კუთვნილ ფულს. ცხრილიდან ჩანს, რომ 2024 წელს 2023 წელთან მიმართებაში ეს კოეფიციენტი გაუმჯობესებულია.

ვალდებულებების ბრუნვა დღეებში (სავაჭრო ვალდებულება/თვითღირებულება*365)

DPO არის ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი დღე სჭირდება კომპანიას მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად.

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,755	1,712
თვითღირებულება	40,140	38,616
DPO	16	16

2024 წელს DPO კოეფიციენტი უცვლელია.

რისკიანობის კოეფიციენტები

რისკიანობის კოეფიციენტები აფასებენ კომპანიის ფინანსურ რისკიანობას, თუ რა რაოდენობის სესხს იყენებს კომპანია თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად, რა გავლენას ახდენს ის კომპანიის კაპიტალურ სტრუქტურაზე და მფლობელთა შემოსავალზე.

Debt Ratio - ვალდებულებების კოეფიციენტი (მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი აქტივები)

	2024	2023
მთლიანი ვალდებულებები	1,972	2,289
მთლიანი აქტივები	17,932	15,076
Debt Ratio	11%	15%

კომპანიის აქტივები გაზრდილია, ხოლო ვალდებულებები წინა წელთან შედარებით შემცირებული. რაც განპირობებულია სასესხო ვალდებულებების შემცირებითა და ძირითადი საშუალებებისა და მარაგების გაზრდით. ვალდებულებების შემცირებისა და აქტივების ზრდის ხარჯზე, რისკიანობის კოეფიციენტი გაუმჯობესებულია.

Debt to Capital Ratio- სესხის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი

ეს კოეფიციენტი არის კომპანიის ფინანსური რისკიანობის შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს კომპანიის ფინანსურ სტრუქტურას მისი საქმიანობა სესხებით ფინანსდება თუ კაპიტალით.

	2024	2023
მოკლევადიანი სესხები	-	437
გრძელვადიანი სესხები	-	-
კაპიტალი	15,960	12,787
Debt to Capital	0%	3%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია ფინანსდება მთლიანად კაპიტალით.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური საკითხები (გაგრძელება)

Debt to Asset Ratio- სესხის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (სესხები/მთლიანი აქტივები)

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ აქვს მიღებული სესხი.

	2024	2023
მოკლევადიანი სესხები	-	437
გრძელვადიანი სესხები	-	-
მთლიანი აქტივები	17,932	15,076
Debt to Asset	0.00	0.03

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

ქვეყნის ეკონომიკური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანია მხოლოდ საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორცაა: ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა.შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში საქმიანობს შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია, შპს GEO 2008-ც დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიის ხელმძღვანელობა აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება ტოპ ხელმძღვანელობის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები.

ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, კომპანიის პოლიტიკა ეფექტურია ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 6 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ტარიელ ხარატიშვილი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, კომპანიის პოლიტიკა ეფუძნება ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 6 სექტემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

_____ ტარიელ ხარატიშვილი